

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ენა და კოგნიტური მეცნიერებები“ დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სამეცნიერო ინსტიტუტი ენა და კოგნიტური მეცნიერებები წარმოადგენს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის სტრუქტურაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.
- 1.2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ენა და კოგნიტური მეცნიერებები (შემდგომში ინსტიტუტი) თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- 1.3. წარმოდგენილ დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- 2.1. ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურისა და კვლევების ანალიზი, განხორციელება და წარმოდგენა შემდეგ საკითხებში: კოგნიტური ლინგვისტიკის და მომიჯნავე შემეცნებითი მეცნიერებების ემპირიული, თეორიული, ექსპერიმენტული, კომპარატივისტულ-შეპირისპირებითი და ლაბორატორიულ-სიმულაციური კვლევების შედეგად მიღებული დასკვნებისა და შედეგების ანალიზი და პრაქტიკულ კონტექსტში ჩასმა.
- 2.2. ხელშეწყობა იმ სახის კვლევებისა, როგორებიც არის:
 - 2.2.1. ფართომასშტაბიანი მონაცემების შეგროვების, ორგანიზების, გრაფიკულ-ვიზუალური გამოსახვის და ანალიზის მეთოდები;
 - 2.2.2. ხარისხობრივი, რიცხვობრივი, სტატისტიკური, მეტაკოგნიტიური და შერეული მეთოდების დახვეწა-განვითარება ლინგვისტურ-კოგნიტიურ კვლევებში;
 - 2.2.3. ტვინის ლატერალიზაცია პროსოდიულ-სინტაქსური სტრუქტურების წარმოქმნა-აღქმის პროცესში;
 - 2.2.4. ტვინის ლატერალიზაცია ლექსიკურ-სემანტური ერთეულების ათვისება-წარმოქმნის პროცესში;
 - 2.2.5. ბიოლინგვისტიკა და ადამიანისა და ენის განვითარების ევოლუციური სტადიები;
 - 2.2.6. ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ექსპერიმენტული სინტაქსის უახლესი საკითხების და მიღწევების კვლევა და ანალიზი;
 - 2.2.7. ფსიქოლინგვისტიკის უახლესი საკითხების და კვლევის მეთოდოლოგიური მიღწევების (EEG, Eye-Tracking, fMRI) ანალიზი და დამუშავება;
 - 2.2.8. ორენოვნობის და მრავალენოვნობის კვლევა კოგნიტური მეცნიერებების მეთოდოლოგიური შეჯერების გზით;
 - 2.2.9. ენის ათვისების ლინგვისტურ-კოგნიტური თეორიები;
 - 2.2.10. ენის, ენობრივი ჯგუფებისა და ოჯახების ფილოგენეტიკური განვითარების კვლევა სტოქასტურ პროცესებზე და MCMC ანალიზზე დაფუძნებით;

- 2.2.11. ენის ევოლუციის თეორიები;
- 2.2.12. მეტაფორების კოგნიტურ-პრაგმატული ანალიზი და მათი მეტა-დისკურსულ ჭრილში განხილვა;
- 2.2.13. ციპფის კანონი, სიტყვათა სიხშირე და ინფორმაციის თეორია;
- 2.2.14. ფართომასშტაბიანი კორპუსების კვლევა სხვადასხვა ენებში;
- 2.2.15. კორპუსზე დაფუძნებული მულტიმედიური დისკურსის ანალიზი;
- 2.2.16. დისკურსის ინფერენციული ანალიზი;
- 2.2.17. უფლებებისა და ვალდებულებების გამომხატველი ტექსტების ლინგვისტური ანალიზი;
- 2.2.18. იურიდიული კორპუსის კვლევა-შეჯერება *ლინგვა ლეგის* ფარგლებში;
- 2.2.19. მასშედიის კორპუსის კვლევა მემეტიკური ინჟინერიის მეთოდით;
- 2.2.20. სამეცნიერო კორპუსის კვლევა მეტაკოგნიტურ ანალიზზე დაფუძნებით;
- 2.2.21. ბუნდოვანი, ორაზროვანი მეტყველების სინტაქსურ-პრაგმატული ანალიზი და რელევანტობის თეორია;
- 2.2.22. გრამატიკის მენტალური სივრცეები; გრამატიკის მოდულარული არქიტექტურა;
- 2.2.23. გენერაციული და ფუნქციონალური გრამატიკის შეპირისპირება სხვადასხვა ენების მაგალითზე;
- 2.2.24. ენის უნივერსალურ-რელატივისტური თეორიების ანალიზი;
- 2.2.25. ენის და შემეცნების ურთიერთმიმართების კვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების კონტექსტში (IT, computer sciences and language).

მუხლი 3. ინსტიტუტის საქმიანობა

- 3.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების, ვებინარების ჩატარება;
- 3.2. ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალის Journal of Young Scientists (JYS) მომზადება;
- 3.3. ჩატარებული კვლევების შედეგების საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობა;
- 3.4. სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში ჩართვის ხელშეწყობა;
- 3.5. ინსტიტუტის ბაზაზე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ხელმძღვანელობით პრაქტიკას გაივლიან სკოლის სტუდენტები.

მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა

- 4.1. ინსტიტუტი შედგება ინსტიტუტის ხელმძღვანელისა (დირექტორისა) და სამეცნიერო პერსონალისგან.
- 4.2. საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტის ბაზაზე (ინსტიტუტის დირექტორის გადაწყვეტილებით) სტრუქტურული ერთეულის სახით შესაძლებელია ახალი სამეცნიერო-კვლევითი სექტორ(ებ)ის (შემდგომში სექტორი) ჩამოყალიბება ან/და განხორციელება სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა, რომლებსაც უხელმძღვანელებს ინსტიტუტის დირექტორი.
- 4.3. სექტორის (პროექტის) მიზანია პრობლემურ საკითხთა კვლევა-ანალიზი კონკრეტული მიმართულების გათვალისწინებით.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი

- 5.1. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი იქმნება სკოლის აკადემიური პერსონალისა და სხვა მეცნიერ-თანამშრომელთა მონაწილეობით. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელად შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი (მეცნიერი), რომელსაც უნივერსიტეტში არ აქვს დაკავებული აკადემიური თანამდებობა.

მუხლი 6. ინსტიტუტის გადაწყვეტილება

- 6.1. ინსტიტუტის ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღება ინსტიტუტის წევრთა ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი.
- 6.2. ინსტიტუტის წევრთა სხდომები გაიმართება საჭიროებისამებრ ინსტიტუტის დირექტორის გადაწყვეტილებით ან/და წევრთა 2/3-ის მოთხოვნით. სხდომაზე განიხილება:
 - 6.2.1. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
 - 6.2.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროექტები;
 - 6.2.3. სექტორის (პროექტის) სამუშაო გეგმა;
 - 6.2.4. ინსტიტუტის სტრუქტურის შეცვლის, აგრეთვე კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად განსაზღვრული სახსრების გამოყენების საკითხები;
 - 6.2.5. სხვა სამეცნიერო დაწესებულება-ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხები;
 - 6.2.6. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელისა და ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის ანგარიშები;
 - 6.2.7 უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულება-უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების საკითხები; ინსტიტუტის თანამშრომელთა ანგარიშები უცხოეთში სამეცნიერო მივლინებების შესახებ.
- 6.3. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ღია კენჭისყრის საფუძველზე.
- 6.4. სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორი და სხდომის მდივანი.

მუხლი 7. ინსტიტუტის დირექტორი

- 7.1. ინსტიტუტის (ენა და კოგნიტური მეცნიერებები) დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი სკოლის დეკანის წარდგინებით. ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება დანიშნულ იქნეს სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც არის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წევრი.
- 7.2. ინსტიტუტის დირექტორი
 - 7.2.1. ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საორგანიზაციო საქმიანობას;
 - 7.2.2. ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებებს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საბჭოს;
 - 7.2.3. ორგანიზებას უწევს სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სამეცნიერო ფორუმების დაგეგმვას;
 - 7.2.4. ხელს უწყობს ინსტიტუტის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-სასწავლო და სხვა პროფილის მქონე დაწესებულებებთან;
 - 7.2.5. ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევების მომზადებასა და გამოქვეყნებას;
 - 7.2.6. სკოლის დეკანს განსახილველად წარუდგენს სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელის კანდიდატურას.
- 7.3. ინსტიტუტის დირექტორი ანგარიშვალდებულია სკოლის დეკანის წინაშე.

მუხლი 8. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელი

- 8.1. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელი
 - 8.1.1. ხელმძღვანელობს ინსტიტუტის თემატიკით გათვალისწინებულ პროექტ(ებ)ს;
 - 8.1.2. ყოველი წლის ბოლოს ინსტიტუტის წევრთა ერთობლივ სხდომაზე წარადგენს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგებს.

მუხლი 9. მეცნიერ-თანამშრომელი

- 9.1. მეცნიერ-თანამშრომელი მონაწილეობს ინსტიტუტის საქმიანობაში.
- 9.2. მეცნიერ-თანამშრომელს უფლება აქვს:

9.2.1. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები;

9.2.2. მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსსა და სხვა ღონისძიებებში;

9.2.3. წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ინსტიტუტის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

მუხლი 10. ინსტიტუტის ფინანსები

10.1. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროა შიდა საუნივერსიტეტო და გარედან მოზიდული თანხები.

10.2. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ანგარიში/ქვეანგარიში.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

11.1. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

11.2. ინსტიტუტის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) შემდეგ მისი ქონება რჩება უნივერსიტეტს.

მუხლი 12. ინსტიტუტის რეკვიზიტები

საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მერაბ ალექსიძის 10, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.